7180
FS 7180
ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. რემოდნიძე

პირველი ლაღუმი

(1905 წელი გურიაში)

პიესა სამ მოქმედებათ

წიგნის მაღაზია „განათლების“ გამოცა

ტფილისი 1925 წ.

899.962.1-2
4180

ს. რემოტნიძე

ბ. 32°652

პირველი ლაღუმი

(1905 წელი გურიაში)

პიესა სამ მოქმედებათ

ქ. ბ. 2.465
1

წიგნის მაღაზია „განათლების“ გამოცემა.

ტფილისი 1925 წ.

473.45×11.404

ეროვნული
ბიბლიოთეკა

FS 7180

ნ. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა პუშკ. ქ. № 3.

მთავლიტი № 2004 ტირაჟი 2000

15 40с

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრმად დაუფიქრეთ ამხანაგებს:

1905 წლის გმირებს.

ავტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედნი პირნი:

ლადო
გიორგი
ლიზა
მიხო
} ხალხში მომუშავე ამხანაგები

სოფიო—გიორგის და ლიზას დედა
მაზრის უფროსი
ბოქაული
მწერალი
კნეინა
დარაჯები
დედაკაცი
ნამღვდელარი
ხალხი
მილიცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი.

მოქმედება სწარმოებს გურიაში. სცენა წარმოადგენს სოფიოს და გიორგის უბრალოთ მორთულ ოთახს. ფარდის ახდისას სცენაზე არის ლიზა, კითხულობს „გლეხი კაცის ისტორიას“. კარგახნის შემდეგ შემოდის სოფიო ხელსაქნარით.

გამოსვლა 1.

სოფიო. შვილო თვალებს გატკენს ამდენი კითხვა მეტის მეტი არაფერი არ ვარგა.

ლიზა. (პაუზის შემდეგ) დედა რომ იცოდე რა მშვენიერი წიგნია ეს გლეხი კაცის ისტორია. ისე მომეწონა რომ წელს მეორეთ ვკითხულობ. ნამდვილი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებაა შიგ აწერილი. (პაუზა) მარგალიტა, მიხო, შოველი, რა დიდებული ტიპებია. (დაფიქრდება) ნეტავი მეც მარგალიტა ვიყო. რა ყოჩაღი მუშა ქალია, საერთო საქმისათვის თავდადებული.

სოფიო. მარგალიტა ვინდოდა რომ გრქმეოდა?

ლიზა. (ღიმილით) არა დედა, სახელი სულ ერთია მარგალიტა მერქმევოდა თუ ხვარამზე. ნეტავი მეც მარგალიტასთანა ყოჩაღი და ხალხისათვის სასარგებლო ქალი ვიყო მეთქი. ისე როგორც ამ წიგნში ყავს ავტორს აწერილი.

სოფიო. რა ვიცი, დღე და ღამე შენი და, შენი ძმის მოსვენება არ არის და... (პაუზა) შვილო ფრფხილად, ნელ დამლუპოთ. ჭეყანა არეულია. ძმა ძმას ველარ ენდობა, გაფუჭდა ხალხი, გეირყვნა. თქვენ რომ დაგიჭირონ და გადაგასახლონ, მეც თავი უნდა მევიკლა. ამ ორი კაკალეს შემხედვარე ვარ. მერე რათ მინდა თავი ცოცხალი.

ლიზა. (წამოდგება) ნუ გეშინია დედაჩემო, ყოჩალათ იყავი (მოეხვევა) საქმე კარგათ არის. ისეთი მუშაობაა გაჩალებული, ისეთი, რომ არ შეიძლება რამე არ მოხთეს, აი ნახავ.

სოფიო. კი მარა რას ერჩით ამ საწყალ ნიკოლოზას, რა დაგიშავათ, რეიზა აგდებთ ძირს... (პაუზა) ბარე ორი ტურა დეიჭყავლებს შვილო მანამდე.

ლიზა. არ გჯერა? აი ნახავ. ხალხმა თუ მოინდომა დედაჩემო ვერაფერი ვერ დაუდგება წინ. აი ამ წიგნში სწერია ყველაფერი. მაშ. (პაუზა. მღერის).

„წავა წავა კარგათ წავა,
და კარგათაც გათავთება
იმდენ ჟანდრებს ჩამოვახრჩობთ
თოკებიც არ ათავდნბა“.

სოფიო. შენ მღერი შვილო მარა იგი ბიჭი სადაა აქნამდე! არ დეიჭიროონ არ დევიღუპო, არ დიეფსოს მის დედას თვალები. (ფანჯარაში იცქირება) რა საშინელი ბნელი ღამეა. თვალში თითი არ მიიტანება. რეიზა არ ეშინია ამ ღამე სიარულის! აფხანაკი კაი ყავს მარა. (პაუზის შემდეგ ლიზას ლიმილით) მითხარი ლიზიკო შენ ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს ფიქრობ ლადოზე? მე რაღაცას გატყობ. ხომ იცი დედის თვალს არაფერი არ გამოეპარება. ნუ დამიმალავ, დედა ვარ შენი.

ლიზა. (თავს დახრის, პაუზის შემდეგ მივარდება და მოეხვევა) დედიკო, აბა შენ რაღა უნდა დაგიმალო, მომწონს ლადო.

სოფიო. მე გატყობ შვილო ამას. ლადო პატიოსანი ყმაწვილი სჩანს. მარა რაეაც მგელი და კრავი ერთად არ შეიძლება, არც ახალგაზდა ქალ-ვაჟი. თქვენ ძალიან ხშირათ დადიხართ ერთად. სხვა რომ არაფერი იყოს შვილო სახელი გაგიტყდება, ხალხის თვალს აბა რა გამოეპარება. გაგლანძღავენ, ბევრი მტერი გვყავს. სახელის გატეხას კი თავის გატეხა ჯობიაო ხომ გაგიგონია, ჭკუიანი კაცის ნათქვამია. ახალგაზრდა ადამიანის სისხლი თავისას თხოულობს. ყელი არ გამომჭრა, არც ოჯახი დაღუპო და არც თავის თავი.

(ისმის კარებზე კაკუნი).

ლიზა. სუ! ვილაცა არის!

სოფიო. ვინ უნდა იყოს, გიორგი იქნება; მოიცა მე მივალ. (მიდის კარებისაკენ) რომელი ხარ? (ხმა გარედან) ჩვენ ვართ დედა. გაგვიღე კარი. (გაუღებს).

გამოსვლა 2.

გიორგი, ლადო და მიხო.

სოფიო. თქვენ გენაცვალეთ შვილებო. ჯავრით აღარ ვიყავი. (ესალმებიან)

გიორგი. ნუგეშინია დედაჩემო ქვეყანაზე ჩვენი მომრევი არავინ არის. „აწმყო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია“. ხომ ასეა დედიკო?

სოფიო. ღმერთმაც ასე ქნას შვილო.

გიორგი. აბა ლიზიკო! დატრიალდი თუ რამე გაქ, ისე გვშია ისე... ძალლივითო რომ იტყვიან. ვახშამი გვაჭამე და მერე მოგვეხმარე, მთელი ღამე უნდა გავათენოთ იმდენი სამუშაო გვაქ.

სოფიო. არიქა შვილო, შენ სტოლი გააწყვე, ვახშამს მე გამევიტან. (გადის)

გიორგი. ლიზა ღვინო ხომ არ გვაქ ამოღებული?

ლიზა. არის, ყველაფერი არის.

გიორგი. აი ყოჩაღ. მაგიერში მაყრად წაგყობით.

ლადო. მსმელი არა ვართ თუ რა. ორი ჭიქა ღვინო ბანდალს ვერ გვიზამს.

გიორგი. მაშ, მაშ.

გამოსვლა 3.

სოფიო. ეს ჭადი ქე დაბიცთა შვილო კეცზე. რამდენიხანია თფილი საჭმელი არ გიჭამია, სანამდი უნდა იყოთ შვილებო ასე.

ლადო. სანამდი ნიკოლოზას არ ჩამოვაგდებთ.

გიორგი. და ლიზას მოქარგულ წითელ ბაირალს არ ავაფრიალებთ.

სოფიო. ღმერთმა კაი ქნას, მარა, რა ვიცი. აბა მობრძანდით ახლა. (ლიზას) შვილო, ხელი დააბანიე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზა მობრძანდით ხელი დაიმშვენეთ. (ვახშამს შემოუსხდებიან).

გიორგი. ხო და ასეა დედაჩემო, დღეს ბევრ განათლებულ ქვეყნებში ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვიან. რომ იცოდე რამდენი სისხლი იღვრება.

სოფიო. მერე კაია მაგი?

ლადო. კარგი რავაა ბატონო, მარა რას იზამ, როცა უსისხლოთ არაფერი კეთდება.

გიორგი. (აიღებს ჭიქას) ეს გაუმარჯოს ჩვენს მუშაობას. მალე მოგვსწრებოდეს ის დღე, რომ დაჩაგრული და დამჩაგვრელები არ ყოფილიყოს. (სვამს) ალაველდი მიხო.

სოფიო. მაგი არასოდეს არ იქნება.
(მიხოს) შენ რას უყურებ შვილო, რომ არაფერს მიირთმევ? მოიჩოჩე სტოლისაკენ.

მიხო. ნუ სწუხდებით ბატონო, გიახლებით.

გიორგი. რაშია კაცო საქმე, ავათ ხომ არა ხარ?

მიხო. ისე, ცოტა თავი მტკივა. გაივლის ალბათ.

ლადო. ღვინო დალიე მოგიხდება. გაუმარჯოს ყველა გულწრფელ და პატიოსან ადამიანს, გაუმარჯოს ჩვენს მომავალს (სვამს).

გიორგი. ამინ. (მიხოს) კაცო, შენ წადი ავათ თუ ხარ. უშენოდაც იოლათ წავალთ.

მიხო. მეხათრება თქვენი თორემ. რა შემომაფრინდა ამ თავში. (თაიზე ხელს შემოიდგამს).

ლადო. წადი კაცო, წადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო. ავათ თუა აქ მეისვენოს.

მიხო არა ბატონო, არც ისე შორს ვარ. მაგ ამხანაგებთ და დილასვე აქ ვიქნები.

გიორგი. ასე ჩემო მიხო, შენს რაიონში სხვას ვერავის ვენდობით. ადრეც უნდა დარიგდეს ფურცლები.

მიხო. ჩემზე იყოს. ეცადეთ გარკვევით და კარგად დაბეჭდოთ. ცოტა იყოს და კარგი. მშვიდობით (გადის)

გიორგი. ჩემო ლიზიკო მონახე ისევ ჩვენი გექტოგრაფი*). შენ გაქვს სადაც შენახული.

ლიზა. (გაოცებით) გექტოგრაფი? ლადოს სტამბა სადღაა? აკი იქ ბეჭდავდით ფურცლებს, მერე რა მშვენივრად. გექტოგრაფზე დაბეჭდილი რაღა იქნება?

გიორგი. შენ არ გაგია? ლადოს სტამბა დაჩაირებულია.

ლადო. კიდევ კარგი მეც რომ არ დამაჩაირეს.

ლიზა. როგორ თუ დაჩაირებული, არაფერი არ მესმის.

ლადო. გუბერნატორმა დააჩაირა თავისი ხელით. აი გეტყვი: შაბათ საღამოს, კრების შემდეგ ბენიამ ფურცელი გადმომცა დასაბეჭდათ. მეც ჩვეულებრივი სიფრთხილით, დაღამდა თუ არა, დავადე დიდი ბოქლომი წინიდან დუქნის კარებს, მოუარე უკანიდან, შევედი, ჩევიკეტე კარები, ავაწყვე ფურცელი ვბეჭდე და ვბეჭდე გატიალებამდე. იმ ღამეს ათასზე მეტი დავბეჭდე. ნაბორი დავშა-

---

*) გექტოგრაფი—სახელდახელო ხელნაწერის გადასაღებია.

ლე, გამოვიტანე ფურცლები და გავისტუმრე საბშვედოებულები
შუა ღლისას ბაღში ვარ, ჩუმათ კითხულობენ ამ ჩემს დასკვნებს
ბეჭდილ ფურცლებს. ერთი მეც კი მომაწოდეს. მე კი არ-
ხეინათ ვსეირნობ. გუბერნატორი რომ არის ჩამობრძანე-
ბული ეს ქე ვიცი, მარა მე თუ მესტუმრება, ამას რავა ვი-
ფიქრე? ვნახოთ ვილაცა მეძახის. სტრაჟნიკი მორბის ენა
წამოვარდნილი. „სადა ხარ შე ოჯახ დასაქცეო, მოიტა
ჩქარა ჯუქნის გასაღები"! დამცხელა, მარა ანაგებათ რა-
ვა შევიმჩნიე. რაშია საქმე, საჩქარო დასაბეჭდი ხომ არა-
ფერი გაქვენ? რის დასაბეჭდი გუბერნატორი, მაზრის უფ-
როსი ჩამდენიხანია გელოდება და შენი ნახვა არ მოხერ-
ხდაო ჭეუბნება. გავრბივართ. მოვისავდა, ერთბაშათ გა-
დამჭრა მუხლები რალაცამ...

ვიორგი. (იცინის) ბიჭო! ხუმრობაა თუ!

ლიზა. ღმერთო მომკალი. მერე, მერე. რატომ ვერ
გავიგე მე ეს!

ლადო. შენ აქ არ იყავი. მიეედი რას მიხვალ, გაუ-
ტეხიათ ბოქლომი და შებრძანებულარიან.
დასვგომიან თავზე ჩემს ამერიკანკას*) და უპიტინებენ.

Ты хозяин?—მეუბნება ხმაგინი. მე გახლავარ თქვე-
ნო ბრწყინვალებავ. აბა რას შობი ახლა. ფურცლებს
შენ ბეჭდავ ამ სტამბაზე?—აბა რას ბრძანებთ თქვენო
ბრწყინვალებავ, შევატყდი თვალში ილპიტიეს თხასავით.
(იცინიან), მარა ვატყობ რომ კაცის ფერი ალარა მაქვს,

---

*) ამერიკანკა—პატარა სტამბა.

თან ნარბენი, თან-შიშით. გული ლამის ამოვარდეს საბუ-
დარიდან.

სოფიო. უი შვილო, რა დღე დაგდგომიხ!!.

ლადო. (ბაძავს) მოიტა ყველა შენი დაბეჭდილი ბლანკები. მაზრის უფროსო! შეადარეთ დაბეჭდილ ფურცლებს მაგის დაბეჭდილი ბლანკები და თუ „შეედაროს დაიჭირეთ და გადმომიგზავნეთ. სტამბაც სამუდამოთ დაკეტეთ. ეხლა კი შეკარით თოკით და დალუქეთ. „თქმა და ასრულება ერთი იყო, შეკოჭეს ჩემი ამერიკანკა და დალუქეს. მე წარუდგინე ქორწილის და ტირილის ნაბეჭდი წერილები, წაიღეს და წავიდნენ. გავიდენ თუ არა, რომ იცოდე, როგორ თავისუფლად ამოვისუნთქე.

გიორგი. არ გმართებდაა.

ლადო. მეორე დღეს მეუბნება ბოქაული: (დასკინის) „ჩემო ძმაო საყვარელო, უუნდა დაგიჭირო. ყველა ააახალ თაობის კააცი შეეენ დუუქანში იყრის ხავს. (იცინიან).

ლიზა. როგორ გადარჩენილხარ!

გიორგი. აი ასეა საქმე და ამიტომ ისევ ჩვენი ქველი სტამბა უნდა ავამუშაოთ. (ლიზას) სად არის შენ.ხელი? მითხარი, მე მოვიტან. შენ ეს ალაგე.

ლიზა. საწნახელს ქვეშ პატარა ყუთში. სინათლე წაიღე.

სოფიო. შვილებო, შვილებო, ყოველთვის არ მოტანს კოკა წყალს. რამდენი შიში უნდა ნახოთ. (ჭურჭლები გააქვს და გადის).

ლადო მითხარი ჩემო ლიზიკო, რას იზამდი, რომ დავეჭირე, მომაკითხავდი ციხეზე თუ არა? ციხეზე ... ჰო, ბარა რომ გადავესახლებიე დამივიწყებდი ... უახლოვდება) მითხარი ჩემო სიცოცხლეე.

ლიზა. (მორცხვათ) სრულებითაც არა.

ლადო. ტუსაღი, გადასახლებული საქმრო, აბა რათ გინდოდა?

ლიზა. ეხლა პატიოსანი კაცი ყველა ციხეში და გადასახლებულია. რა უყოთ მერე, მეც შენთან წამოვიდოდ.

ლადო. მართლა ლიზიკო? შენ გენაცვალოს ჩემი თავი (მოეხვევა) აი ამიტომ მიყვარხარ, რომ ასე სულით მალაღი ხარ.

ლიზა. კარგი ეხლა, დედა მოდის, არ დაგვინახონ.

გამოსვლა 3.

გიორგის შემოაქვს ყუთით გეიტოგრაფი.

გიორგი. მგონი წამხდარი არ უნდა იყოს. ,ლიზიკო, შეგ გაასუფთავე ეს. ქალალდები დასჭერი ზომაზე და მე დალადო დასაბეჭდ ფურცელს გადავსწერთ გეიტოგრაფული მელნით. კარგი რომ ვიშოვნე.

ლიზა. კარგი. მომეცი აქ (ართმევს, ასუფთავებს, შმდეგ ქალალდებს სჭრის გეიტოგრაფის ზომაზე).

გიორგი, ლადო შენ დასწერე, უფრო გარკვეული ხელი გაქ.

ლადო. როგორც გინდა. აბა წამიკითხე.

გიორგი თუ გავარჩიე. სათაური? „გურულ გლეხკაცობას“. დასწერე მსხვილი ასოებით.

ლადო. (სწერს) გურულ გლეხკაცობას, მერე.

გიორგი. (კითხულობს) ძვირფასო ამხანაგებო გლეხებო! თუ გინდათ, რომ განთავისუფლდეთ ბატონების მძიმე უღლიდან, თუ გინდათ რომ თქვენი ნაოფლარი თქვენვე გეკუთვნოდეს და არა ერთ მუჭა მემამულეებს, რომლის დარაჯია დღეს მთავრობა და სამღვდელოება, იმინეთ ჩვენი (პაუზა).

ლადო. მერე?

გიორგი. მტკიცეთ დაიცავით ჩვენი გადაწყვეტილება. არ გასტეხოთ ფიცი და არც ერთი კაცი არ გახვიდეთ მემამულეების მიწაზე სამუშაოთ, მანამ სანამ ისინი ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ. თქვენს შეერთებულ ძალას წინ ვერავინ ვერ გადაღობება; სასტიკი ბოიკოტი მემამულეებს და მოღალატე შტრეიკბეხერებს. ვინც დაარღვევს ამ ჩვენ დადგენილებას, ისინი გამოცხადებული იქნებიან ფურცლებში როგორც ხალხის მოღალატენი. არც ერთი კაპეიკი მღვდლებს. უდა მოისპოს დრამის ფული. (აქ ვეღარ გავარჩიე) ხო, ძრს ხალხის მოღალატენი, ძირს ძალმომრეობა და უსამართლობა, გაუმარჯოს, სიტყვის, კრების, პრესის თავისუფლებას და პიროვნების ხელშეუხებლობას, გაუმარჯოს თავსუფალ, საყოველთაო ფარულ არჩევნებს. ძირს დესპოტიზმი, ძირს სისხლის მსმელი ხელისუფლება, გაუმარჯო

ქ.ნ.ბ.ბ. ... ბიბლიოთეკა

Ї 2.465 / 1

მშრომელ გლეხკაცობას, გაუმარჯოს მთელ ქვეყნის მუშა ხალხს, გაუმარჯოს სოციალიზმს. ქვეშ მოაწერე „გლეხის კომიტეტი“.

ლადო. აბა რა დაგვავიწყდა თუ იცი?

გიორგი. მე მგონია არაფერი.

ლადო. თავში უნდა დავაწეროთ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

გიორგი. ხო მართლა.

ლიზა. ქალალდები დასაბეჭდავი მზათ არის.

გიორგი. აბა ეხლა ბეჭდვას შეუდგეთ.

ლადო. მოითმინეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა: წარმოვიდგინოთ რომ თავზე დაგვეცენ, როგორ მოვიქცეთ?

გიორგი. რას ამბობ კაცო, ხომ არ გაგიჟდი, ვინ უნდა გვიჯაშუშოს! რა მშიშარა ხარ.

ლადო. არა გიორგი, ეს არ ითქმება. ხომ გაგიგონია ფრთხილთა დედანი არა სტირიანო. ყოველთვის მზათ უნდა იყო. ჯაშუშების მეტი რა გვყავს, სიგლახის ჩადენა ყველას ეადვილება. ოქროები (ოდვილ ადამიანს თვალებს სჭრის ეხლა ადამიანი ძნელი საცნობია. მე ვიცი კაცი, რომელსაც საზოგადო მოლვაწეთ მოაქვს თავისი თავი და ამავე დროს ძმის სისხლში კი აქვს ხელები გასვრილი. ბევრია ასეთი გამყიდველები.

გიორგი. ლადო შენ მართალი ხარ. ლიზა! ბუხარში ცეცხლი გენთოს, ეშმაკს არ სძინავს, თუ რაიმე უბედურება მოხთება ჩვენი ~~ფურცლები ცეცხლს~~ შეუკეთოთ, მორჩა და გათავდა.

ES 7180

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიზა. ცეცხლი არის. მე ეს თქვენზე უფრო ადრე მოვისაზრე.

ლადო. იქნება მართლა!

გიორგი. აი ჭკვიანი ქალი. ყოჩაღ ლიზიკო. (ისმის კარებზე ბრახუნი, ყველანი შეცბებიან). ვინ უნდა იყოს! კაცო, შენ ეჭამ ხომ არ გიყივლა!.. ვინა ხარ?

(კარედან ხმა) გააღეთ კარები და გაიგებთ ვინკა ვართ. აბა ჩქარა.

გიორგი. (ხელთნაწერს ლიზას აძლევს). აბა არ დაიბნეთ. ყველაფერი გაიტანეთ. ლადო შენც გაიპარე როგორმე. ლიზა ყოჩაღათ. მე ჯერ კარს არ გაუღებ. (ლიზას გააქვს ყველაფერი ლადოც გაყვება. მეორდება ბრახუნი, ისმის ხმა) გააღეთ მეთქი კარები.

გამოსვლა 4.

სოფიო. (შეშინებული) რა ამბავია, ვინ არის?

გიორგი. აოაფერია დედაჩემო. ვინც უნდა იყოს. არ შეშინდეთ. ლადო გააპარეთ როგორმე. (სოფიო გადის კვლავ აბრახუნებენ კარებზე, ისმის ხმა) გააღეთ ჩქარა კარები, თორემ ძალათ შეგოვამტვრევთ. გესმით თუ არა!

გიორგი. რა ამბავია, ყაჩაღები ხომ არ გაგულავებთ აქ! ტანზე ჩაცმას არ აცლით ადამიანს? (ნელ-ნელა მიდის კარებისაკენ).

გამოსვლა 5.

ლიზა. გაუღე, ყველაფერი კარგათ არის.

გიორგი. შენ დედასთან გადი, ვითომ წევხართ. (ლიზა გადის გიორგი კარებს აღებს).

გამოსვლა 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდიან: ბოქაული და დარაჯები რევოლვერებით ხელში.

ბოქაული. (შემოსვლისთანავე) ხელები მაღლა!

გიორგი. რა აქბავია, ბომბები ხომ არ მიწყვია ჯიბეში? (ასწევს ხელებს).

ბოქაული. საიდან ვიცი რომ არ გიწყვია! (დარაჯებს) გაუჩხრიკეთ ჯიბენები (დარაჯები ჩხრეკენ).

დარაჯი. ჯიბეში არაფერი არა აქვს.

ბოქაული. რა შვილი შ,ინახვიდა. ყველაფერი ყურადღებით გაჩხრიკეთ. არ დატოვოთ არც ერთი ქაღალდის ნაფლეთი. ორმა ჩემთან წანოდით, (გიორგის) ადგილიდან არ დაიძრა.

გიორგი. მე არსად არ გავრბივარ. ყაჩაღი კი არა ვარ. მაქ მოხუც დედას და დას სძინავთ, არ შეაშინოთ. იქ რაღა ხელი გაქვთ!

ბოქაული. ეს ჩვენ ვიცით. (გადიან მეორე ოთახში. ისმის ხმა) აბრძანდით ზევით თავი რომ მოიძინარეთ. (გამოჰყავთ ორივე დედაშვილი ბოქაული სოფიოს) შენ ამ გველის წიწილების დედა ხარ? ორი გოჭი გაგეზარდა ამათ მაგიერ ის არ გერჩია?!

სოფიო. (მტკ-თეც) უკაცრავათ ბრძანდებით მაგ ზრდილობიანი სიტყვებისათვის! ასეთი გველის წიწილები და გოჭები თქვენც ბევრი გეყოლებათ სახლში

ბოქაული. ღმერთმა მაშოროს. (იქით) რა ენა აქვს

ამ ქოფაკ ბებერს! დასაბრჩობი ხარ დასახრჩობი, და დაგა-
ხრჩობენ კიდეც. (შემოჰყავს დარაჯებს ლადო).

ბოქაული. ეს ვინღაა?

დარაჯი. ამ სახლიდან გასულა. გაქცევას აპირებდა
ჯარის კაცმა დააკავა.

ბოქაული. (იცინის) ესეც შენი შვილია?

სოფიო. ეს სტუმარი გახლავს.

ბოქაული. მერე რომელი პატიოსანი სტუმარი გარ-
ბოდა დასამალავათ. ხახახაა... ახალ თაობის ქალო, უკა-
ცრავათ აფხანიკო ვინარის ეს ვაჟი?

ლიზა. მგონია ერთხელ მოგახსენეს. სტუმარი.

ბოქაული (მიუახლოვდება და ეშმაკური ღიმილით
თვალებში დააცქერდება) სტუმარია თუ შენი საქმაროა?
ზართალი სთქვი (ნიკაპზე ხელს ამოუსვამს) რა ლამაზია!

ლიზა. ხელი იქით უზრდელო!

ბოქაული. მე ვარ უზრდელი აფხანიკო? კარგი ასე
იყოს. (ხმის აწევით დარაჯებს) გაუკარით ხელები ყვე-
ლას. გადააბით ერთმანეთზე და გაირეკეთ წინ. თუ გა-
ქცევა დააპირონ იქვე დააწვინეთ.

დარაჯების უფრ ი. გვესმის თქვენო მალალკე-
თილშობილებავ. (მივარდებიან და ხელებს უკან შეუკრავენ).

ლადო. რა ამბავია ასე რომ მიჭერ. კაცის მკვლელი
ხომ არა ვარ. (ქალებსაც უპირებენ ხელების შეკვრას).

ბოქაული. ქალებს არ უნდა ხელების შეკვრა. წაი-
ყვანეთ და მეც მალე მოვალ. აბა ფრთხილად.

უფრ. დარაჯი. აბა გადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო. კაცები წაიყვანეთ ქალებთან რაღა გინდათ?

ბოქაული. ეს ჩვენ ვიცით. წადი ჩქარა.

სოფიო ოჯახი ვის ჩავაბარო?!

ბოქაული. ოჯახი ცეცხლს და ნავთს დაუტოვე!..

სოფიო. (შეჰკილვებს) უ[illegible]მე დეევიღუპეთ...

გიორგი. (მიმავალი) არ შეგრჩებათ ბ. ბოქაულო. ერთი დრო ჯერ არავის შერჩენია და არც თქვენ შეგრჩებათ.

ლადო. ხალხი მოგთხოვთ პასუხს.

ბოქაული. (იცინის) ხალხი... ხახახა... ხალხი... აჰა ხალხი (უჩვენებს მათრახს). და მათი მოჭკვიანების წამალი. ახალ თაობის ხალხსაც ეს აჭკვიანებს და თუ ამან არ გასჭრა აი (რევოლვერზე უჩვენებს) შიგ გულში მივაჭედ. საქმე ძალაზეა და ძალა ჩვენ ხელთ არის.

გიორგი. ვნახოთ... ვნახოთ

ბოქაული (მიაძახებს) ვნახოთ აფხანიკებო ვნახოთ... (იცინის).

სოფიო (ისმის ხმა მიმავალის) ვაიმე ოჯახო!.. დალუპულო...

ლიზა. ის იცინის ვინც ბოლოს იცინის. ყველას ვერ ამოხოცავთ.

ბოქაული. ხახახა. ბოლოშიც ვიცინებთ და თავშიც.

სოფიოს ხმა ისმის: მომეცით გასაღები, კარები უნდა დავკეტო.

ბოქაული. მომაშორეთ ეს დედაკაცი. არ იცით რომ ბუნტოვჩიკების სახლებს სწვავენ? წადი მომშორდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიოს ხმა. უი ჩემს სიკვტილს... ეს რა მომესრულა (შეჰკივლებს)

გიორგის ხმა. ნუ სცემთ თქვენ ჯალათებო. მოხუცი ქალის ცემა რა საკადრისია.

დარაჯის ხმა თქვენ ეს დაიმსახურეთ. (შორდება ხმა) ისმის სოფიოს ხმა) ოჯახო ნაკვტავო ნაწყტაო... (სცენა დიდხანს ცარიელია).

გამოსვლა 5.

ბოქაული და მიხო.

ბოქაული. აი რა ოჯახი გრჩება ჩემო მიხეილ ჯილ-დოთ. უნდა დაგვეწვა მაგრამ დეე, შენ ისარგებლე, ვითომ, როგორც გიორგის ამხანაგი და მომავალი სიძე, ვინ რას გაიგებს. ოხ შენ ეშმაკო, რა ქალი გრჩება? შენ ჩვენი სახელი უნდა ილოცო. რამ დაგაფიქრა? (მხარზე ხელს დაჰკრავს) თუ მე გწყალობ თითს ვერავინ დაგაწენწებს. არ გაგიგონ კი თორემ ხომ იცი შენი აფხანიკების ამბავი, ხელათ გაგისწორებენ ანგარიშს. (პაუზა მიხო უხერხულად გრძნობს თავს შეშინებული ჰქეთ იქით იყურება).

მიხო. ლიზაც დაიჭირეთ?

ბოქაული. რა თქმა უნდა. უამისობა არ შეიძლებოდა. არ შეგეშინოს, შენს საცოლეს ხელვი გავან თავისუფლებ. სიტყვას არ გაგიტეხ. სხვებს კი ჰიო.. (უსტვენს) ციმბირი და მისი ჯანი, უკან არ მოვახედებ, ვასწავლი მაგათ როგორ უნდა ჩვენი წინააღმდეგობა. ეხლა კი მშვიდობით, აჰა

გასალები ღმერთმა მოგახმაროს. (ხელს ართმევს) ეშმაკი და მოხერხებული კაცი ხარ მიხეილ. მშვიდობით. (გადის)

მიხო. (გაშტერებულია თითქოს სიზმარიაო. დიდი ხნის პაუზის შემდეგ) ეს რა სისაძაგლე ჩავიდინე... ამხანაგები, რომელიც ასე მენდობოდენ, პატივს მცემდენ და ვუყვარდი გავეცი... ჯალათებს ჩაუგდე ხელში... (დაეცემა ტახტზე მწარეთ ჩაფიქრდება).. რაღა ვარ მე დღეის შემდეგ... მაგრამ ეს რომ არ მექნა მე მომელოდა ციმბირი... დახვრეტა... აი ამის სიყვარულმაც შემაცდინა (დააკვირდება მაგიდაზე სურათს) ლადოზე გამცვალე? მე კი უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლია. ან მე ან ის. (ჩაფიქრებული დადის) ვინ წარმოიდგენს რომ მე მიხეილ სოფრომაშვილმა ამხანაგები გავეცი, მათ ვულალატე... არა ვერ გამიგებენ მაგრამ.. (პაუზა ტანჯვით) სინდისმა გამიგო... ეს რომ ლიზამ გაიგოს მისი სუსტი ხელებით დამახრჩობს არამც თუ ცოლათ გამყვება.. რა სისაძაგლე ჩავიდინე!.. რა ვქენი... ერთიც ვნახოთ დამარცხდა ხელის უფლება და ხალხმა გაიმარჯვა... მაშინ?!. შერცხვენილი სიკვდილი... ისე დამახრჩობენ, როგორც ცოფიან ძაღლს... (ტირის. პაუზის შემდეგ) არაფერიც არ მოხთება... (ხმას აუწევს) და თუ გინდა მოხთეს!.. ბოლო მაინც სიკვდილია. ჯერ კიდევ ჩემისთანეების დროა... (იცინის) წავიდე ამხანაგებს გავაგებინო ეს უბედურება, რომ ეპვი არავინ აიღოს. (ცბიერი ღიმილით გადის).

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე.

სცენა წარმოადგენს მაზრის უფროსის სამმართველოს. კედელზე ნიკოლოზის სურათი, შკაფი, საქმეები, კარები ორივე მხრით. კუთხეში თოფებია აყუდებული. ფარდის ახდისას სცენაზე მაზრის უფროსია, ზის და თხოვნებს ათვალიერებს.

გამოხვლა 1.

მწერალი. დეპეშა გახლავს თქვენო მაღალკეთილშობილებავ

მაზრის უფროსი. მოიტა. (აძლევს. თითონ გასვლას აპირებს) მოიცა. (წერალი მობრუნდება. მაზრის უფროსი დეპეშას კითხულობს) კიდევ გუბერნატორისაგან. (კითხულობს ხმა მაღლა) გაძლევ წინადადებას მიიღო ყოველგვარი ზომები: გლეხებმა არ გაიტანონ თავისი. თუ ნებით არ ჩავიდნენ სამუშაოთ, აიძულე. დაიჭირე, გაამათრახე, მოწინავე ბუნტის თავები მე გადმომიგზავნე. ფხიზლათ ადევნე თვალყური, ჯამუშები გააძლიერე, ფული არ დაიშურო, თანხას გადმოგიგზავნი რამდენიც გინდა. (დეპეშას დადებს და ჩაფიქრდება. დადის) გუბერნატორი მართალია, ეხლა რომ გლეხებმა ჯაიმარჯვოს გათამამდებიან და შემდეგ კიდევ უფრო მეტ რამეს მოინდომებენ. ეხლავე უნდა ჩავკლათ სათავეში ყოველგვარი მოძალობა. თევზმა თავიდან იცის აყროლება.

მწერალი თქვენო მაღ. კეთ. მე რომ მკითხოს კაცმა გლეხები მემამულეებთან არ არიან დამნაშავე. მა-

თი მოთხოვნილება კანონიერია. მოსავალის ნახევარი ეს მეტის მეტია. ხომ ხედავთ შიშველ ტიტველია გლეხობა, დღიან-ღამიანა კი მუშაობენ. მემამულეები მწყერაობენ მხოლოდ და გლეხების ნაოფლარს მონადირე ძაღლებს აჯირგალებიებენ. ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენო ნათქვამია.

მაზრის უფროსი. (დააკვირდება მწერალს) შენც ახალ თაობის კაცი ხომ არა ხარ? გლეხი ხარ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს! შენ გინდა ბოქაული გახთე?

მწერალი. (შეშინებული) თქვენო მაღ. კეთ. სამართალი...

ბოქაული. (გააწყვეტინებს) არავითარი სამართალი. უფროსი ბრძანებს, უნდა ასრულდეს, მაშ რიგორ გგონია. შენ ასეთ ფიქრებს თავი დაანებე!.. სამსახურს დაკარგავ. შენც იმათთან ამოყობ თავს.

მწერალი. მეშინის თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

ბოქაული. წადი და წუხანდელი დაჭერილები მოაყვანე.

მწერალი. ეხლავე თქვენო მაღალკეთილშობილებავ. (კარებიდან მობრუნდება) ყველანი ერთად თუ ცალ-ცალკე?

მაზ. უფრ. თვითეულად. (მწერ. გადის).

მაზრ. უფრ. (მარტო) ამ მემამულეებმაც გააჭივრეს საქმე. არაფერი არ უნდათ დაუთმონ გლეხებს. (დადის დაფიქრებული) მიიღე ზომები, ჩაჭალი მოძოაობა, ადვილი სათქმელია. ცემა-ტყეპით გაკეთებული საქმე... ვინ

გასტობა ამდენ ხალხს. ხომ შეიძლება გამოვიდენ ბოთმი-ნებიდან და მეც წესი ამიგონ! ერთი ბოქაული-მრმიკლეს! დარაჯების უფროსი ლიპარტიანი, კიკიბერია, რა ერდგული თანამოსამსახურეები დამიხოცეს მაგ შეჩვენებულებმა... მემამულე ბი და სამლვდელოება გუბერნატორთან მასმენს: თავის დროზე ზომებს არ ღებულობსო. კატამ რომ კუდი განზე ქნას მე ვარ დამნაშავე. ცალკე ხალხი მემუქრება, წუხელის უსახელო წერილი მივიღე შიგ კუბო იყო დახატული, ეს ავაზაკები სიკვდილით მაშინებენ.. მაგრამ არავითარი, პლასტუნების ჯარს გამოვიწვევ მთელ გურიაში ეგზეკუციას ჩავაყენებ და მოძრაობას ჩავკლავ! ან მე უნდა ვიყო ან ისენი.

ისმის კაკუნი.

მაზრის უფროსი. შემოდი.

გაამოსვლა 6.

ორ დარაჯს შემოჰყავთ გიორგი.

მიზრის უფრ. თქვენ გადით და კარებში დაიცადეთ. შით არავინ შემოუშვათ. (დარაჯები ხელს აუღებენ და გავლენ, მაზრ. უფრ. გიორგის.) მობრძანდით ყმაწვილო დაბრძანდით.

გიორგი. გმადლობთ ასე მირჩევნია

მაზრ. უფრ. რატომ გვიბუნტებთ ამ ხალხს, რაშია საქმე?

გიორგი. თქვენც კარგათ იცით რაშია საქმე. ხალხის მოთხოვნილება სამართლიანია

მაზრ. უფრ. (ხმას აუწევს) მერე თქვენ რა შუაში ხართ? თქვენ სიდაური მომუშავე გლეხი ხართ, სემინარიიდან გამოგდებული ყაზირალი! შენი თავისთვის არ დაგიყრია სიკეთე, რას მიბუნტებ მშვიდობიან ხალხს?

გიორგი. მე თქვენი ყვირილის არ მეშინია. მე ვებრძვი უსამართლობას და ვიბრძოლებ მანამ სანამ სამართლიანობა არ გაიმარჯვებს.

მაზრ. უფრ. რაღას იბრძოლებ როცა ცის სინათლეს ვერ ელირსები დღეის შემდეგ. ციხეში ამოგხთება სული. გადაგასახლებ, ციმბირში ამოგაყოფიებ თავს.

გიორგი. მით უარესი თქვენთვის. თქვენ ხალხს ამით ვერ დაამშვიდებთ.

(მაზრის უფროსი დადის აღელვებული. შემდეგ ლმობიერათ გიორგის) დაფიქრდი, ნურც ხალხს დალუპავ და ნურც თავის თავს. ახალგაზრდა ხარ. სიცოცხლე არ გიყვარს, დედა, მამა ამხანაგები. აიღე ხელი ხალხის წინამძღოლობაზე, დამეხმარე, დავამშვიდო ხალხი, გაგაკეთებ... დღესვე გაგანთავისუფლებ, ყველას გაგაბედნიერებ.

გიორგი. ჯაშუშობას მიკვეთ? უკაცრავათ, მაგნაირი ბედნიერება თქვენთვის დამილოცნია, როგორ მიბედავ ამას!

მაზრ. უფრ. პაუზის შემდეგ (რეკს) კარგი, აწი მე ვიცი.

გამოსვლა 7.

(შემოდიან დარაჯები.)

მაზრ. უფრ. წაიყვანეთ. ჩააგდეთ სულ ძირს ბნე-

ლეთში, მარტოდ მარტო. არავითარი გადაცემა, არავითარი ქვეშაგები. დღეში გირვანქა შავი პური და წყალი.

გიორგი. (ილიმება) მაგით ვერ შეგვაშინებთ.

მაზრ. უფრ. (ხმამაღლა.) წაიყვანეთ და დედაკაცი მომგვარეთ. (გაჰყავთ.)

მაზრ. უფრ. (მარტო) ეს რა უბედურებაა. როგორ თავდადებულნი არიან! რამ გააგიჟა ეს ხალხი. არ უნდათ არც შენი ფული, არც თავისუფლება!... სიკვდილში ისე მიდიან როგორც ქორწილში... რა ვქნა, რა გზას დავადგე რომ არ ვიცი...

გამოსვლა 7.

დარაჯი. თქვენო მალალკეთილშობილებავ, ვილაც დედაკაცია.

მაზრ. უფრ. რას ამბობ, ვინ დედაკაცია არავინ შემოუშვა.

დარაჯი არ იშლის ძალიან საჭირო საქმე მაქვსო.

გამოსვლა 8.

დედაკაცი. (ძალად შემოდის) მიშველეთ ბატონო ნაჩალნიკო... მომეხმარეთ...

დარაჯი. სად მოდიხარ არ შეიძლება,

მაზრ. უფრ. კარგი თავი დაანებე. რა გინდა ქალო რაშია საქმე. ზრდილობა რამ დაგიკარგა!

დედაკაცი. ვილუპები ბატონო, ოჯახს მიქცევენ... თავადი გოჯასპირ თავდიშვილი ულლათ ხარებს დამიკ-

ლავს თუ არ მომეხმარეთ. ქმარი ავათ მყავს, დაიჭირა მისმა მოურავმა საბალახოზე და ერთ თუმან ფულს მთხოვს. მიშველეთ ბატონო ამას წინეთ მაკე ლორი მომიკლა, ახლა ოჯახის მარჩენალ ხარებს მართმევს მომეხმარე, მაღლა ღმერთია და ძირს თქვენ, მიშველეთ.

მაზრ. უფრ. თუ მის ადგილში აუშვით ხარები დაიჭერდა მაშ რას იზამდა.

დედაკაცი. მინდორში ხარები გაუშვი აბა სა უნდა გამეშვა. ჰაერში ხომ ვერ ავფრინდებით· სადაც არ გადავადგით ფეხი ქველგან ჩემიას იძახის. მისწერეთ ბატონო ხარები მომცეს.

მაზრ. უფრ. ამ საქმეში მე ვერ ჩავერევი. ასეთი შემთხვევა ხშირია. თუ ფული არ მიეცი ხარებს არ მოგცემს. სხვის მამულში საქონლის შეშვება არ შეიძლება.

ქალი. ფული საიდან მივცე, ავათმყოფი ქმარისათვის წამალი ვერ მიყიდია!.. მიშველე ბატონო კი შეგიძლია ნუ დამლუპავ დამიკლავს მარჩენალ ხარებს ორი დღეა აკოლილი ყავს ხეზე.

მაზრ. უფრ. არავითარი დახმარება არ შემიძლია. წადი დროს ნუ მაკარგვინებ ათასი საქმე მაქვს.

ქალი. სათ უნდა წავიდე ვისთან წავიდე... იწამე ღმერთი ბატონო მომეხმარე ნუ დამლუპავ.

მაზრ. უფრ. (დარაჯს) რას გაშტერებულხარ მომაშორე ეს დედაკაცი.

დარაჯი შენ არ გესმის ქართული წადი. (ხელს კიდებს)

ქალი. (მივარდება მაზრის უფროსთან, მუხლებზე მოეხვევა) მომეხმარე ბატონო კი შეგიძლია შენი მუხლების ჭირიმე ბალნები დამეხოცება შიმშილით, წამართმევენ ოჯახის მარჩენალ ხარებს.

მაზრ. უფრ. (დარაჯს) მომაშორე მეთქი!...

დარაჯი. (სტაცებს ხელს და ძალით გაჰყავს) ქალი კი არა ქაჯია სი უპატრონო.

ქალი. ეს არის თქვენი სამართალი!...

მაზრ. უფრ. დასწყევლოს ღმერთმა, ასეთი უბედურება გიბოძავს (რეკს).

გამოსვლა 8.

დარაჯი. რას გვიბრძანებ თქვენო მაღ...

მაზრ. უფრ. (გააწყვეტინებს) არავინ შემოუშვათ. მოშვვარეთ ტუ-ალი.

დარაჯი ეხლავე ბატონო აქ გახლავს. (შემოჰყავს სოფიო)

მაზრ. უფ- ააა, ახალთაობის ქალს ვახლავარ. (დაცინვით. მობრძანდით დაბრძანდით.

სოფიო. დაცინვა ბატონო არაფერი საჭირო არ არის. არც ახალთაობის და არც ძველის მე არაფერი გამეგება. მე ჩემი ოჯახი ვიცი. მომვარდენ შვილებიც დამიჭირეს, მეც წამომიყვანეს, ოჯახი უპატრონოთ დამატოვებიეს, ეს სიდაუური სამართალია, ეს ..

მაზრ. უფრ. (გააწყვეტინებს) ვინ მოგცა ნება ამდენი ლაპარაკის .. შვილები კი არა შენ გველის წიწილები

გამოზარდე, ოთმლებსაც ციხეში ჩავალპობ... მზის სინათლეს არ ვაჩვენებ... გესმის თუ არა, შენც ციმბირში გაგაგზავნი. დიახ, ჩვენ ყველაფერი ვიცით რა ხდება შენს ოცახში. გიორგი და ლიზა შენი შვილებია არა?

სოფიო. დიახ, ჩემი შვილებია, რა დაგიშავათ, სიდაური ქურდები ჩვენ ვართ, ოთმ...

მაზრ. უფრ. ქურდების და ავაზაკების ჩვენ ისე არ გვეშინია როგორც თქვენი. თქვენ ხელისუფლების ძალალტენი ხართ და როგორც ასეთები, უნდა მოგსპოთ, მოგაშოროთ ამ ქვეყანას რომ მშვიდობიანი ხალხი არ გარყვნას თქვენმა გარყვნილმა შვილებმა.

სოფიო (აღელვებული.) უკ ცრავათ, ჩემი შვილები გარყვნილები არ არიან. გარყვნილები სხვაგან ეძებეთ.

მაზრ. უფრ. (დაუყვავებს.) კარგი დაწყნარდი. კარგათ დაფიქრდი. ჯიუტობა ჩვენთან არავის გამოადგება. ბევრს მოუგოიხეი კისერი და ბევრსაც მოუგრეხთ. ოუსხელწიფის მომოევი არავინ არის. ტყვილა თავს ნუ დაიღუპავთ. ყველაფერი გულწრფელად მითხარი, გაპატიებთ, ფულითაც დაგასაჩუქრებთ, დღესვე გაგიშობ ყველას სახლში ოლონ მითხარი ვინ არიან კიდევ თქვენს გარდა ახალთაობის ხალხი?

სოფიო. მე არაფერი არ ვიცი. არც თქვენი ჯაშუშობა მე არ შემიძლია.

მაზრ უფრ. ეს არის შენი პასუხი?.

სოფიო. დიახ.

(მაზრ. უფრ. რეკს.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა 9.

(დარაჯი.)

მაზრ. უფრ. გაიყვანე. ჩააგდე ცალკე. მზის სინათლე არ აჩვენო.

ხოფიო. აბა თქვენ მეტი რა შეგიძლიათ...

მაზრ. უფრ. გაიყვანე ჩქარა, ნუ აყბედებ!... შემოიყვანე შემდეგი. (დადის გამწარებული. чтоза безобразие რამ გადარია ეს ხალხი... დედაბერი ასე იქცევა, სხვები რაღა იქმნება.

გამოსვლა 10.

(დარაჯს შემოჰყავს ლადო.)

მაზრ. უფრ. (დარაჯს) გადი.

(მაზრ. უფრ. ლადოს.) შენი გვარი და სახელი?

ლადო. არ მ'ურს გიპასუხოთ.

მაზრ. უფრ. (გაოცებული) რაო? გვარი შენი? (მიუახლოვდება).

ლადო. რას მიცქერით. ხომ ხედავთ კაცი ვარ, ჩვეულებრივი ადამიანი.

მაზრ. უფრ. (გულმოსული.) ადამიანი კი არა ავაზაკი ხარ. დასახვრეტი, ჩამოსაღრჩობი... (დადის, ულვაშებს იკვნეტს.) არა გადასახლება და ჩამოხრჩობა ცოტაა ამათთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 10

დარაჯი თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

მაზრ. უფრ. (გააწყვეტინებს) მომშორდი.

დარაჯი კნეინა ივდითი გახლავთ. აუცილებლათ უნდა ვნახოვო.

მაზრ. უფრ (მოლბება) სახოვე. (გადის).

გამოსვლა 11.

შემოდის კნეინა მდიდრულათ ჩაცმული. ხელში ლორნეტით.

მაზრ. უფრ. მობრძანდით კნეინა. (ხელზე კოცნის). გთხოვთ დაბძანდეთ.

კნეინა გმადლობთ. ჩვენი დაბრძანება და კარგი ტკბილი ცხოვრება არეულია. ეს რა უბედურებაა ჩვენს თავზე, ვინ გადაგვირია აგი ცხვარივით გლეხები! ქე ვიყავით მამაშვილივით. უცროსობა იყო და უფროსობა. ეს რას გავს! გოგო ბიჭები გადამირიეს. გამეფიცენ ბატონო გამეფიცენ! ბოიკოტი გამომიცხადეს. აღარც სადილი, აღარც ვახშამი, წყლის მომტანი არავინ არის ჩემსას, რომ მობრძანდეთ ჩაის ვერავინ გამოგიტანს!

მაზრ. უფრ. რას ბრძანებთ კნეინა?

კნეინა კი თქვენ ნუ მომიკვტეთ. წაუგრძელებია ენა ამ მუტაკია ცხვირ მოუხოცალ დედაკაცს და ასე მეტიქსინება: შენც ჩემსავით ორი ხელი გაბია გააკეთე და ჭამეო!.. (ლადო ჩუმათ იცინის).

მაზრ. უფრ. აი ამათი ბრალია ყველაფერი. (ეჩვენებს ლადოზე) ერთი იმათგანი... ბუნტის მეთაური.

კნეინა იქნება მართლა!.. (წამოდგება მიუახლოვდება და ლორნეტით ათვალიერებს) თქვენ ბრძანდებით ჩვენი დამაქცევარი? თქვენ აგვიფორიაქეთ ეს მყუდრო ცხოვრება? ენა არა გაქ? ხმა ამოიღე.

მაზრ. უფრ. ლაპარაკი დავიწყებია.

კნეინა იქნება მუნჯია?

მაზრ. უფრ. ჩვენთან მუნჯია. ტყეში გლეხების კრებაზე ტკაველა ენას ასისინებს ჩვენს წინააღმდეგ.

კნეინა რა გვეშველება. დეეიხოცებით შიმშილით. უნდა გვიშველო რამე, როგორ შეგვიძლია უგოგობიჭოთ ცხოვრება!

მაზრ. უფრ. აბა რას ბრძანებთ კნეინა. წაბრძანდით და ღღესვე მივიღებ ყოველგვარ ზომებს, ყველას დავაჭერინებ.

კნეინა მიშველეთ რამე თავადმაც ძალიან გთხოვათ. აბა თქვენ იცით. ხელი შეგიშალეთ მშვიდობით. ნუ დაგვიგვიწყებთ, რამდენიხანია ფრაპი არ გვითამაშნია. ეთუ ოდ გვინახულეთ. თუ წახთა საქმე (ღიმილით) ჩემს გაკეთებულ საჭმელს გაჭმევ.

მაზრ. უფრ. გარწმუნებთ კნეინა გაცილებით გემრიელი იქნება. (იცინიან მიაცილებს კარებამდე).

კნეინა მშვიდობით. (გადის)

(მაზრის უფროსი რეკს)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა 12.

დარაჯი რას გვიბრძანებთ თვენო მალალ-კეთილ-შობილებავ?

მაზრ. უფრ. გაიყვანე ტუსალი. მომგვარეთ ქალი.

დარაჯი (ლადოს) წამოდი (გადიან)

მაზრ. უფრ. (მარტო). მე თითონ ალარ ვაცი რა გზას დავადგე. ვაი თუ მართლა გაწყრა ღმერთი და ხალხმა გაიმარჯვა. (დადის ჩაფიქრებული). არა შეუძლებელია. ის რაც სხვა ქვეყნებში მოხდა რუსეთში არ მოხდება.

გამოსვლა 13.

დარაჯს შემოჰყავს ლიზა. თითონ კი გადის.

მაზრ. უფრ. (იქით) ეს რა ლამაზი ყოფილა (ლიზას) დაბრძანდით ქალბატონო (სკამზე უჩვენებს)

ლიზა უკაცრავათ მე ქალბატონი არ გახლავართ.

მაზრ. უფრ. (მიუახლოვდება) უკაცრავად ამხანაგო. რომ იცოდეთ როგორ არ გიხდებათ გაჯავრება. ასეთი ლამაზი გოგონა და ბუნტოვჩიცა? (ნიკაპზე ხელს კიდებს).

ლიზა (უკან დაიწევს). გთხოვთ ზრდილობიანათ მოიქცეთ. საქმეზე მელაპარაკეთ. რა გინდათ ჩემგან?

მაზრ. უფრ. (ლრეჭით). შენი კარგათ ყოფნა ჩემო ლამაზო. უახლოვდება მოხვევნას უპირებს). ერთს გაკოცებ მხოლოდ ერთს და დღესვე გაგანთავისუფლებ.

ლიზა (უკან დაიხევს) უკანასკნელად გთხოვ თავი დამანებო. თორემ ვიყვირებ და ყველას გავაგებინებ შენს სისაძაგლეს.

მაზრ. უფრ. რა დიდი საქმეა აბა რა დიდი საქმეა! შენმა სიცოცხლემ ჯერ არავისთვის გიკოცნია. ან ხომ ზადებს ხომ კოცნი ტუეში? პატიოსან სიტყვას გაძლევ გაგანთავისუფლებ. გადაწყვეტილია. ოღონდ კოცნაც აუ-ცილებელია. (მოხვევნას უპირებს ლიზა გაეშვებინება)

ლიზა შორს ჩემგან. (ამ დროს მოისმის შორიდან მარსელიოზა).

მაზრ. უფრ. (დააყურებს) ეს რა ამბავია! ვინ ბედავს მარსელიოზის სიმღერას!..

გამოსვლა 14.

დარაჯი (შემორბის) დაჭერილები მოჰყავთ თქვენო მალალ-კეთილშობილებავ. სილოურის ტუეში ღამით თეელი კრება დაუჭერლათ, მარსელიოზას მღერიან ვერ დავაჩუმეთ.

მაზრის უფრ. მერე დარაჯები დაიხოცნენ თუ რა ამბავია!

დარაჯი დარაჯებს არ ეპუებიან.

მაზრ უფრ. გადით დააჩუმეთ. (დარაჯი გადის) სიმღერა ახლოვდება:

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით მტვერი.
ზიზღით უცქიროთ ჩვენ ოქროს კერპებს
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი—და სხვა.

(მაზრის უფროსი აღელვებული დადის უნდა გავიდეს მაგრამ ეშინია. ზარს რეკს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა 15

დარაჯი რას გვიბრძანებთ თქვენო

მაზრ. უფრ. რას გაჩერებულხართ! დააჩუმეთ ესროლეთ, ჯერ ჰაერში გაისროლეთ. სცემეთ.

დარაჯი მესმის (გარბის) ისმის ხმები. დაჩუმდით თორემ გესვრით დაჩუმდით. (ეხლა უფრო ხმამაღლა მღერიან)

მაზრ. უფრ. (კარებიდან) დააჩუმეთ ესროლეთ!..

ლიზა (გახარებული) თქვენი ჭირიმე ბიჭემო, იმღერეთ. (ისმის რამდენიმე თოფის ხმა. უცებ დაჩუმდებიან, მაგრამ შემდეგ ისევ მღერიან. თან ისმის ხმები): ძირს, ძირს... გაუმარჯოს თავისუფლებას.

მაზრ. უფრ. გავარდება გარეთ. ისმის მისი ხმა. ესროლეთ მაგ ავაზაკებს დახოცეთ. (კვლავ ისმის ზალპის ხმა, რასაც მოჰყვება კივილ-წივილი). მომკლეს მიშველეთ. (ლიზაც გარეთ გარბის)

(მაზრის უფროსის ხმა), შერეკეთ ყველანი ციხეში. ასე გეკადრებათ.

გამოსვლა 16

მაზრ. უფრ. (შემოდის აღელვებული) ასე გეკადრებათ. არ მოისვენეთ სანამ სისხლი არ დამალვრევინეთ. პლასტუნების ჯარს გამოვიწვევ და მით დაგამშვიდებთ. (რეკს)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა 17

დარაჯი რას გვიბრძანებთ.

მაზრ. უფრ. დამიძახეთ მწერალს.

დარაჯი ეხლავე (გადის)

(ისმის ხმები გარედან): ჯალათებო სისხლის მსმელებო, გაძეხით ჩვენი სისხლით.

გამოსვლა 18

მწერალი. (შეშინებული) რას გვიბრძანებთ თქ. მალალ კეთილშობილებავ?

მაზრ. უფრ. ეხლავე დასწერე მოხსენება მომხთარი ფაქტის შესახებ. პლასტუნების ჯარი უნდა გამოვითხოვოთ, ხალხს ეგზეკუცია უნდა ჩაუყენოთ. ყველაფერი დეპეშით უნდა გადავცეთ გუბერნატორს.

მწერალი ეხლავე დავწერ და მოგართმევთ.

მაზრ. უფრ. (მარტო დადის ალელვებული). ეს რა უბედურებაა... ეს რა ამბავია... რამ გადარია ეს ხალხი ვინ გვიქნა ეს. ნუ თუ დამარცხება მოგველის... იარალი ჩვენს ხელშია. უიარაღო ხალხი როგორ დაგვძლევს. ეს შეუძლებელია. ეს არ მოხდება. რუსეთის მეფეს ჯარი ბლომად ყავს. წავიდე სასწრაფო დეპეშა გაუგზავნო გუბერნატორს და ჯარი გამოვიწვიო. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს, ან ჩვენ ან ხალხი. (გადის)

ფარდა.

მოქმედება მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე სცენა. ფარდის ახდისას სცენაზე **ირიან-მიხო** და მწერალი. რაღაცას ლაპარაკობენ.

მწერალი უსათუოდ პარტიაში უნდა ჩამწერო. შენ ეს კი შეგიძლია. მეც საჭირო კაცი ვარ. ყოველგვარ საიდუმლოებას აქაურს მოვაწოდებ პარტიას.

მიხო იქაურს კი მე მოგაწოდებთ და ქვით ვიქნებით (იცინიან) აშენდება ასეთი სახელმწიფო ან პარტია, აბა რა დაემართება. არა ყმაწვილო რატომ წინეთ არ ეწერებოდი პარტიაში, ეხლა რაღაცას ატყობ ალბათ...

მწერალი ყოველ შემთხვევაში შენ არაფერი გაქ სათქმელი.

მიხო ესე იგი შენც სუ და მეც სუ! კარგი ვეცდები ჩაგწერო, თუმცა მგონი რაღაც ეჭვები ჩემზეც უნდა ქონდეს ამხანაგებს. ეს ერთი ხანია ყველა საიდუმლოებას ალარ მეუბნებიან. ხალხი მეტის მეტი მგრძნობიარეა, არაფერი არ რჩება შეუტყობელი. შეიძლება მიგიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რაიმე დიდ საიდუმლოებას გააგებინებ და ამით დაუმტკიცებ რომ შენ იმათი ხარ.

მწერალი დიდი საიდუმლოება!.. (დაფიქრდება)

მიხო მაშ. აბა, ასე ადვილათ ვინ გენდობა.

მწერალი ვეცდები. არ დამლუპო კი. ყველაფერი ეს შენთან უნდა დარჩეს. ვინ იცის რა მოხდება. კაცი, იქითაც უნდა იყო აქეთაც.

მიხო. ქალიც უნდა იყო და ქალმანდილიც (ქალბატონ) არა! გეტყობა რალაცა კი იცი მარა თქმის გეშინია, მითხარი თუ რამე იცი შენ მაინც არ გაგცემ რაც უნდა იყოს. ამით ხომ თავსაც დავილუპავ. ნუ ყოყმანობ სთქვი. რაშია საქმე?.

მწერალი. გეტყვი მარა არ მიღალატო, დამხვრეტენ, რომ გამიგონ.

მიხო. კარგი ნუ სულელობ.

მწერალი. საქმე ცუდათ აქვენ. გუშინწინ მაზრის უფროსმა საიდუმლო დაშიფრული დეპეშა მიიღო ხომ იცი მე არაფერს არ მიმალავს. ისე ფაფხურობს შესახედავათ თორემ ძალიან მშიშარაა.

მიხო. ხო, რაო, რას ატყობინებდა გუბერნატორი?

მწერალი. ხალხს უბატონოთ ხმა არ გასცეო. რეპრესიებმა დაგვლუპაო. არეულობა რუსეთსაც მოედო, ხალხი დიდი უკმაყოფილოა და თუ თვით მეფემ არ განახორციელა ყველა ის, რასაც ხალხი მოითხოვს რუსეთი დაინგრევაო.

მიხო. რას ამბობ?

მწერალი. მე წავიკითხე ჩემი თვალით.

მიხო. მაშ ცვლილება მოხდება?

მწერალი. დიდი.

მიხო. ამნისტიაც მოყვება?

მწერალი. რათ უნდა ლაპარაკი.

მიხო. (თითქოს ეწყინაო. პაუზის შემდეგ). მაშ არაფერი... (თავისთვის) ტყვილა ჩავიდინე ეს სისაძაგლ ლადოს გაანთავისუფლებენ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი. კაცო შენ ხომ არ გწყინს?

მიხო. (გაშოერკვევა) რას ამბობ, მეყოფა რაცა ლ ბ ლ ბ ბ ბ

დებ საყოველთაო ამნისტიას. დაუყონებლივ გალებულ-იქნას ციხის კაოები და განთავისუფლდეს პოლიტიკურე-ბი. ყველა გადასახლებულები დაუბრუნდეს მყუდრო და-კეთილ ცხოვრებას. სამშობლოს აყვავების მიზნით საჭი-როთ დავინახე დაუყონებლივ შემუშავდეს კონსტიტუ-ციონური კანონები. არც ერთი მოქალაქე არ უნდა იქნეს დატყვევებული თუ მას არ დაუმტკიცდება პოლი-ტიკური დანაშაულობა. ვაცხადებ პრესის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებას. (უცებ შესდგებიან. ისმის ხმა დარაჯის: „აქ გახლავს თქვენო მაღალკეთილშობილე-ბავ!

მწერალი. დავიღუპეთ, მაზრის უფროსი მოდის. (დეპეშას საჩქაროდ კეცავს და აწებებს).

გამოსვლა 2.

მაზრ. უფრ. ااا ჩემს მიხეილს ვახლავარ. რას მე-ტყვი კარგს ამხანაგო?

მწერალი. სასწრაფო დეპეშა გახლავს თქვენო მა-ღალ კეთილშობილებავ.

მაზრ. უფრ. (შეშინებული) ა? სასწრაფო? მოიტა ჩქარა: (გამოართმევს, გაშლის და კითხულობს) ამნისტია... ღმერთო ჩემო (განაგრძობს ჩუმათ კითხვას, აქა-იქ წა-მოიძახებს) კონსტიტუცია... კრების, ბეჭდვის, სიტყვის ფავისუფლება... დეეიღუპეთ ჩავცვინდით ამ ტილიანი ცხვირ-მოუხოცელი გლეხების ხელში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (უცებ მობრუნ-დება.) არ დამლუპოთ არ გამამხილოთ.

მაზრ. უფრ. შენც გვტოვებ? გვითხარი რამე ro-გორ მოვიქცეთ?

-**მიხო.** არაფერი არ ვიცი. თქვენ რა გიჭირს, მე უნ-და ვიკითხო. არ დამლუპოთ. მეშინია არავინ დამინახოს.

მაზრ. უფრ. მოიცა რამე უნდა გითხრა. (მიხოს ალარ ეყურება, გარბის მაზრ. უფრ. და მწერალი დიდ-ხანს უცქერენ ერთმანეთს).

მაზრ. უფრ. დაგვხოცავენ?

მწერალი. აბა რას ბრძანებთ.

მაზრის უფროსი (დადის ჩაფიქრებული) ამაზე მე-ტი ძალა თუ არ ქონდათ ამ დალოცვილებს ეს ხალხი რალათ გადაგვამტერეს. ასე რომ მგოებოდა სულ სხვა-ნაირად მოვიქცეოდი. (პაუზა). ეხლავე უნდა გაუშვათ ტუსაღები. (მოისმის შორიდან მარსელიოზის ხმა და ხმა-ურობა. გაუმარჯოს... გაუმარჯოს თავისუფლებას... თა-ვისუფალ ხალხს... გაუმარჯოს... ძირს თვითმპყრობე-ლობა.

მაზრ. უფრ. (შეშინებული) ეს რა ამბავია?!

მწერალი. ალბათ გაიგეს.

გამოსვლა 3.

დარაჯი. თქვენო მალმლკეთილშობილებავ ხალხის ბრბო წითელი ბაირალით და მარსელიოზის სიმღერით ციხეზე მიდის.

მაზრ. უფრ. წადი ეხლავე და ციხის უფროსს უთხარი ჩემს მაგიერ. საჩქაროთ გააღოს ციხის ჭარები და პოლიტიკური ტუსაღები გაანთავისუფლოს. (დარაჯი გაშტერებული დგას). რამ გაგაშტერა წადი ჩქარა.

მწერალი. მე წავალ. (გადიან).

მაზრ. უფრ. ალბათ აქაც შემომივაროებიან. (იარაღს იხსნის, მალავს.) რაც მომივა, მომივა. ახია ჩემზე. მწერალი მაინც არ წასულიყო.

პამოსვლა 4.

მწერალი. ჩემს მისვლამდე გაეტეხათ ბოქლომი. ერთი კოცნა და ერთი ამბავი აქვთ. წითელი ბაირაღი მიხოს უჭირავს ხელში, გავს არ იციან, რომ ის ჯაშუშია.

მაზრ. უფრ. რა მამაძაღლის ერთია. (მწერალი წასვლას აპირებს) მოიცა არსად წახვიდე. შენ მაინც ნუ დამტოვებ. დარაჯები სადღაა?

მწერალი. გაიქცენ. (ისმის მარსელიოზა. ხმაურობა. გაუმარჯოს თავისუფლებას) მიხო აქ მოუძღვება ხალხს ნუ გეშინიათ.

მაზრ. უფრ. წავიდეთ... დაეიმალოთ სადმე. ალბათ დაგვხოცავენ.

მწერალი. ხალხი სულგრძელია. მე მგონია არაფერსაც არ გვეტყვიან. (ხმები) ძირს პირსისხლიანი ხელის უფლება გაუმარჯოს თავისუფალ ხალხს, თავისუფალ საშობლოს.

ხმები. სიკვდილი ხალხის მტრებს. სიკვდილი მოლალატეებს. (გიორგის ხმა). ამხანაგებო ნუ ღელავთ. ადამიანის სისხლში ხელი არავინ გაისვაროთ. ამას ჩვენ სხვას უმტყუნებდით.

გამოსვლა 5.

გიორგი, ლდდო, ლიზა, სოფიო, მიხო და სხვები. შემოდიან წითელი ბაირაღით. მღერიან მარსელიოზას. წითელი ბაირაღი მიხოს უჭირავს. მწერალი და ბოქაული კუთხეში იკრუნჩხებიან. ჩამოიღებენ მეფის სურათს ხევენ სხვა საქმის ქალალდებსაც.

გამოსვლა 6.

შემოყავთ დაჭერილი ბოქაული. ხალხი ბოქაულისა და მაზრის უფროსისაკენ მიიწევს საცემრად. (ყვირიან) ჩავქოლოთ ხალხის მტრები. მოვკლათ.

გიორგი. ამხანაგებო. ჩუმათ. ხალხო მისმინეთ. დამარცხებულებს ხელი არავინ ახლოს. ჩვენ მაგათსავით სისხლის მსმელები არა ვართ. ასეთმა ძალმომრეობამ და ხალხის აწიოკებამ აუგო მაგათ ბატონობას წესი. ჩვენ მაგათ მაგალითს ვერ გადავიღებთ. დეე ჩვენი ძმების უმანკო სისხლი მაგათ კისერზე იყოს სამუდამო ლაქად. დატყვევება კი მაგათი აუცილებელია, რომ კიდევ რაიმე უბედურება არ მოგვიწყონ.

ხალხი. საძაგლები... საზიზღრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 7.

ნამლვდელარი. (აღფრთოვანებით) ამხანაგებო! მეც თქვენთან ვარ. გთხოვთ მიმიღოთ. გაუმარჯოს თავისუფლებას, გაგიმარჯოს თქვენ.

(ხმები) არ გვჯერა... ძალა აღმართს ხნავს... საკურთხი აღარ იქნება მამაო... (იცინიან)

ნამლვდელარი. გულწრფელად ვაღიარებ ჩემს შეცდომას თქვენს წინაშე. თუმცა, თქვენც კარგად იცით, რომ საკურთხის მოტრფიალე მე არასოდეს არ ვყოფილვარ.. ანაფორის ჩაცმა ცხოვრებამ მაიძულა. სამშობლოს, ობოლი ძმები გამოუზარდე. ეხლა, თუკი მიმიღებთ მეც თქვენთან მინდა ვიყო ჭირში და ლხინში.

(გარედან მოისმის სიმღერა, დაირის ხმა, ხმები): გაუმარჯოს... ვაშა... ძირს...

გამოსვლა 8.

(წითელი ბაირაღით შემოდიან რამოდენიმე ქალვაჟნი, გლეხები. აღფრთოვანებით ხვდებიან ერთმანეთს). ვაშა... გაუმარჯოს სამშობლოს... (ულოცავენ, კოცნიან ერთმანეთს, იმართება ცეკვა თამაში. ყველანი მხიარული და აღფრთოვანებულია)

გიორგი. ამხანაგებო. წაიყვანეთ ტუსაღები.

ლადო. და დაამწყვდიეთ იქ, იმ „ძშვენიერ ნათელ" სარდაფში სადაც ჩვენ ვიჯექით. პატივისცემას გადახდა უნდა. (იცინიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიცია. აბა წამობრძანდით.

ბოქაული. მოქალაქენო, გთხოვთ სიტყვა მათქმევინოთ. ჩვენზე ახია ყველაფერი. თუმცა ჩვენ სხვის ბრძანებას ვასრულებდით ბრმათ და შეუგნებლათ. დაგვსაჯეთ როგორც გენებოთ. ქედს ვიხრი თქვენი სამართლიანობის წინაშე. ხალხი დიდი სულგრძელი ყოფილა. დიდება თქვენს ნოთმინებას და თქვენს სახელს. მე არ შემიძლია არ დავაფასო თქვენი გულწრფელობა და არ გაგიმეღავნოთ ის სისაძაგლე, რომელიც ხთებოდა თქვენს შორის და ხთება ეხლაც. ულირს ხელს უპირავს ის წითელი დროშა, რომელიც თქვენთვის სოციალიზმის და წმიდათა წმიდის ემბლემაა. მიხეილ სოფრომაშვილი ჯაშუშია! (ყველანი გაშტერდებიან. მიხო დაბარბაცდება, დროშა ხელიდან გაუვარდება.)

მიხო. მომკალით. ჩამქოლეთ. (მუხლებზე დაეცემა.)

გიორგი. (პაუზის შემდეგ) საზიზღარი...

ლიზა. აი თურმე ვინ გაგვცა ჩვენ!

ლადო. გაათრიეთ. ეს მოღალატე! (გაპყავთ ტუსაღებთან ერთად).

გიორგი. აი, რანაირი ხალხის წყალობით იღუპება საერთო, სახალხო საქმე!..

ფარდა.

51/35

ფასი 40 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის მაღაზია „განათლებაში“ იყიდება:

ჭოლა ლომთათიძის I და II ტომი . . . . . 5 მ.
ს. რემონიძის მოთხრობები II წიგნი . . . . . 80 „
მისივე საბავშო მოთხრობები . . . . . 30 „

და ყოველგვარი ახლად გამოსული წიგნები და სახელმძღვ-ნელოები. გაგზავნა შეიძლება 20% დაკლებით. მისამართი: ლენინ-ქ. № 6, სილ. თავართქილაძეს.